თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3659382

ნომერი: AR1553901

თარიღი : 01.11.2017

გაცემის თარიღი : 07.11.2017

გაცნობის თარიღი : 07.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილის დასახლება, ზემო პლატო, II მიკრო/რაიონი N22გ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვაჟა გურჩიანი პ/ნ 62007003820
- გაგრა დ. განთიადი მ.გორკის ქ. N 36

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1553901 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება, ზემო პლატო, II მიკრო/რაიონი #22გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.19.20.003.094) მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2016 წლის 11 ნოემბრის #2942055 ბრძანების საფუძველზე ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება, ზემო პლატო, II მიკრო/რაიონი #22გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.19.20.003.094) დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის მშენებლობისათვის.

“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2017 წლის 18 იანვრის #03 სხდომისის დასკვნის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 02 თებერვლის #1–235 ბრძანების საფუძველზე ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება, ზემო პლატო, II მიკრო/რაიონი #22გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.19.20.003.094) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ–2=5.6–ით. (სამსახურის 22.02.2017წ. #3060694 წერილი)

2017 წლის 25 სექტემბრის #3563881 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მისამართზე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.19.20.003.094) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი. 2017 წლის 06 ოქტომბრის #3592157 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება, ზემო პლატო, II მიკრო/რაიონი #22გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2017 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.